№ 664 ოთხშაბათი, 28 ოქტომბერი. 1896—1898 ოთხშაბათი, 28 ოქტომბერი № 664

სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა.

ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის-მაღაზიას.

ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.

პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.

ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.

ცალკე ნომერი 3 კაპიკი

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели" Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства. Телефонъ № 363



აუარებელი რიცხვი

საკერავი მაშინებისა

ყოველგვარი სისტემისა და ყოველგვარი ხარისხისა, როგორც საშინაოდ ოჯახში სახმარებლად, აგრეთვე სხვა-და-სხვა სახელოსნოებისათვის

პირველ ხარისხოვანი და საგანგებო

ველოსიპედები

(თვით-მავალა)

ინგლისის, საფრანგეთის და გერმანეთის ქარხნებიდან

ყველაფერი იყიდება შეღავათიანის ფასით

✦ ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილად შეიძლება ✦

ყველაფერი, რაც-კი ამ სავაჭრო სახლიდან გაიყიდება, მკვიდრი და მაგარია, რაშიაც სრული თავდებობაა

სავაჭრო სახლი ს. პ. პავლოვისა და ამხ.

ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 6.

ტელეფონი 349

Телефонъ 349

Торговый домъ

С. П. Павлова и К-о

Тифлисъ, Лор.-Меликовская ул. № 6, противъ Правосл. Семин

Богатѣйшій выборъ

Швейныхъ машинъ и Велосипедовъ



(100 – 62)

ექიმი

კ. ი. გძელიშვილი

მიიღებს

შლდისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს. საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ.

Докторъ К. И. Гдзелишвили.

Михайловская, противъ кирки.

(100—54)

დოქტორი მედიცინისა და ქირურგი

ბენკლევსკი

ავადმყოფებს ღებულობს დილის 9 11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

გრიბოედოვის ქუჩა, არშაკუნისეული სახლი № 30.

Докторъ медицины и хирургъ

БЕНКЛЕВСКІЙ

Грибоѣдовская № 30, д. бывш. Аршакуни. (Ѵ.)

გიმნაზიაში სწავლა დამთავრებული

ქართველი ქალი

იაფად ამზადებს ორისავე სქესის ბავშვებს ყოველგვარ საშუალო სასწავლებლების დაბალ კლასებში შესასვლელად.

იკითხონ „ცნობის ფურცლის" რედაქციაში ს. უ.

Окончившая гимназію

ГОТОВИТЪ

за умѣренную плату дѣтей обоего пола въ младшіе классы всѣхъ среднеучебныхъ заведеній.

*Спросить въ редакціи «Цнобисъ Пурцели»* (10 – 8)

სამკურნალო და ამბულატორია

ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანის, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე· შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია**. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. კ. გერრატი**.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი**.

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის **D-r ф. ბაცევიჩი**.

თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი**.

ამბულატორიაში არის კაბინეტია საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საქისთვის.

სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თოფურია**.

*Лѣчебница С. В. Топурія* въ Кутаисѣ.

# ახალი ამბავი

—

*** „ვეფხის-ტყაოსნის" ახალი გამოცემა. ჩვენ შევიტყეთ, რომ ბ. ვლადიმერ ყიფიანს განუზრახავს დაბეჭდოს ჩვენის დიდებულის პოეტის შოთა რუსთაველის „ვეფხის ტყაოსანი" და რაც შეიძლება იაფ ფასად გამოსცეს. წიგნი უკვე იბეჭდება და ნახევარზე მეტიც დაბეჭდილია. წიგნში ჩართული იქნება 23 სურათი, რომელიც გამომცემელს ახლა ამოუჭრევინებია პეტერბურგში. წიგნი კარგს ქაღალდზე იბეჭდება კარგის ასოებით და ფასიც 40 კ. მეტი არ იქნება.

*** ქალაქის თვით-მმართველობის რევიზია. მთავარ-მართებლის მიერ ქალაქის თვით-მმართველობის სარევიზიოდ დანიშნულმა კომისიამ მოახდინა ქალაქის მიერ ტრამვაის ცხენებისათვის შეძენილ იარაღების რევიზია და შეუდგა სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის რევიზიას, ჯერ პოლიციის 1-ლ განყოფილებაში (1897 წ.) და აგრეთვე ფულის ანგარიშის რევიზიას.

*** ბრძოლა შავი ჭირის წინააღმდეგ. შინაგან საქმეთა სამინისტრომ განკარგულება მოახდინა იმის შესახებ, რომ როსტოვის ხაზინიდან გადაეცეს საგუბერნიო ადმინისტრაციას 5 ათასი მან. შავი ჭირის წინააღმდეგ ზომების მისაღებად.

*** შემოწირულობა. მცხეთის ტაძრის განმაახლებელ კომიტეტის წევრმა დ. ზ. სარაჯიშვილმა შესწირა ხსენებულ ტაძრის განსაახლებლად 1000 მან.

*** სამრევლო სკოლების საქმე. ტფილისის გუბერნატორმა სთხოვა ქართლ-კახეთის საეპარქიო სამასწავლებლო საბჭოს, რომ ყველა ის სასოფლო საზოგადოებათა მიერ დადგენილი განაჩენები ტფილისის გუბერნიაში სამრევლო სკოლების გახსნის შესახებ, რომლებიც გუბერნატორმა უნდა დაამტკიცოს, გაეგზავნოს ხოლმე მომავალში სათანადო მაზრის უფროსებს.

*** სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორის წინადადება. ტფილისის სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორმა წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას დააწესოს 1899 წლის 1-ლ იანვრიდან ავადმყოფების უსასყიდლოდ მიღება ქალაქის სამკურნალოში. ამასთან ინსპექტორი თხოულობს მოემატოს მოსამსახურე პირთა რიცხვს ქალაქის ცენტრალ სამკურნალოში მეაფთიაქის ერთი თანაშემწე და ორი ფერშალი.

*** ტრამვაის საქმე. ნოტარიუსის ხელ-შეკრულება ტრამვაის უსახელო საზოგადოებაზე ცხენის რკინის გზის წარმოების კიდევ 30 წლის ვადით გადაცემის შესახებ ხდება 30 ოქტომბერს და მეორე დღეს საზოგადოების წარმომადგენელი ბ. რობი შეუდგება ვარდის უბანში ახალი გზის გაყვანას, ოლგის ქუჩის შუადან, წყნეთის ქუჩაზე, საუფლისწულო უწყების სარდაფებამდე. ამ ახალ გზაზე, ბ. რობის ფიქრით, მოძრაობის დაწყება შეიძლება რვა დღის შემდეგ გზის გაყვანის დაწყების დღიდან.

*** სასანიტარო-სამკურნალო განყოფილების რევიზია. ვიცე-გუბერნატორმა კ. ს. სტეფანოვიჩმა მოიწვია ქალაქის გამგეობის სასანიტარო-სამკურნალო განყოფილების საქმეთა სარევიზიოდ საგუბერნიო ექიმი ტ. ს. ქიქოძე. ამასთან

ვიცე-გუბერნატორმა მოსთხოვა ქალაქის მიწის-მზომელს, წარმომიდგინეთ დაწვრილებითი ცნობები ქალაქის ადგილებისა და მის მიერ გაყიდულ მიწების შესახებაო.

*** **არტ. ლეისტის ახალი წიგნი.** „მშაკში“ სწერენ, რომ გერმანიის ქალაქ დრეზდენში ამ მოკლე დროში არტურ ლეისტს დაუბეჭდია ახალი წიგნი სომხურ მწერლობის შესახებ „Armenische Dichter“.

*** **გადასახადი ძაღლებზე.** სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორი სასურველად სცნობს დაწესებულ იქმნეს ტფილისში გადასახადი ძაღლებზე.

*** **პრობკის ხის პლანტაცია სოხუმში.** შვეციის კამპანია, როგორც პეტერბურგიდან „კავკაზ“-ს აუწყებენ, შუამდგომლობს იმის შესახებ, რომ ნება მიეცეს გამართოს სოხუმში პრობკის ხის პლანტაცია.

*** **შავი ჭირი შუა აზიაში.** შავი ჭირი თანდათან ვრცელდება შუა აზიაში. აი რა შესაზარი ცნობებია მოყვანილი გაზ. „კავკაზში“. 12 ოქტომბერს, სასანიტარო კომისიის საგანგებო სხდომა მოხდა სამხედრო გუბერნატორის თავსმჯდომარეობით ქ. ასხაბათში. სხდომაზე წაკითხული იყო სხვათა შორის უფროსი მკურნალის მასლენიკოვის მოხსენება, რომლიდანაც შემდეგი სჩანს: სამარყანდის ნაწილის ექიმის მოხსენებით შავი ჭირი დაერია სოფ. ანზობში, რომელიც სამხრეთით 250 ვერსის სიშორეზეა სამარყანზე, ავად გახდა 257 კაცი, ამათგან 224 მოკვდა, შემდეგ გახდა კიდევ ავად 224 კაცი, მოკვდა 219, მორჩა 4 და 1 გამობრუნებას აპირობს შავი ჭირი დაიწყო 1 ოქტომბრიდან. დღეს სულ 12 ავადმყოფია. ექიმთა უმრავლესობამ შეამოწმეს, რომ შავი ჭირიაო, ინდოეთიდან არის გადმოტანილიო. სანიტარული ზომები უკვე მიღებულია.

*** **სოხუმი.** სოხუმის საზოგადო ბანკის დაარსების შესახებ კრილობა. ხუთშაბათს, 22 ოქტომბერს, თ გიორგი ჩიჩუამ სოხუმის საპატიო მკვიდრნი ერთ-ერთ სასტუმროში მოიწვია ქალაქის საზოგადო ბანკის დაარსების შესახებ მოსალაპარაკებლად. დამსწრეთ თავადმა ჩიჩუამ დაუხატა აქაურ ვაჭართა და საზოგადოდ აღებ-მიცემის პირთა გაჭირვებული მდგომარეობა იმის წყალობით, რომ ქალაქში არ არსებობს ისეთი საკრედიტო დაწესებულება, საიდანაც საჭიროების დროს სესხით ხელის მონაცვლება შეეძლოს ვაჭარსა და მწარმოებელს. ამიტომ, მოახსენა პატივცემულმა თავადმა დამსწრე საზოგადოებას, აქაურთათვის აუცილებლად საჭიროა დაარსდეს საზოგადო ბანკი, საიდანაც, შედარებით ნაკლების სარგებლით, ყველას შეუძლია სესხის გატანაო. თან მომავალის ბანკის პროექტსაც გააცნო საზოგადოება თავადმა ჩიჩუამ. ყველამ სიხარულით მოისმინა თავ. ჩიჩუას წინადადება და ერთხმად აღიარეს საჭიროება ასეთის ბანკის დაარსებისა. კრებაზე 20 კაცზე მეტი არ იყო. ზოგმა სთქვეს, საჭიროა სხვებსაც შევატყობინოთ და ისე შევუდგეთ საქმესაო. ამიტომ თავიანთ შორის სამი კაცი აირჩიეს და იმათ მიანდეს ხელ-ახლად შეკრება საზოგადოებისა.

იმედია, სოხუმელები გულ-მხურვალედ მოეკიდებიან ამ საქმეს და მათისავე სარგებლობისათვის სათანადო ზრუნვას გამოიჩენენ.

გ. ბარკალაია.

*** **თელავი.** პურის სიძვირე. თუმცა წელს კახეთში პურის მოსავალს აქებდნენ, მაგრამ თელავში კი პური ძვირია. ეს უკანასკნელი იმით აიხსნება, რომ რუსეთის ფქვილი თელავში არ შემოაქვთ, თუ მოაქვთ ისევ ახლო-მახლო სოფლებიდან. მოიტანენ თუ არა ურემს სასწორზე, მაშინვე იქ გაჩნდებიან მეპურეებიც და შეევაჭრებიან ფქვილს, რაკი ბევრი მუშტარი დაეხვევა ფქვილის პატრონიც აუწევს ფასს და 1 მ. და 10 კ.—1 მ. 20 კ. ნაკლებ არ მისცემს. მეპურეები მარტო შავი ფქვილისას აცხობენ, შოთი და მეორე ხარისხის პური თელაველებს დაგვნატრულდა. რომ ვეტყვით, რატომ არ აცხობთო, ისინი მოგვიგებენ: „რა ვქნათ, ბატონო, არ მოაქვთ თეთრი ფქვილი და ძალათი ხომ არ მოვატაინებთო“. ამ ცოტა ხანში სასწორზე მოიტანეს რუსეთის ფქვილი, რომელსაც 1 ხარისხის ფქვილს ჰყიდიან 1 მ. 90 კ., თუმცა თეთრი ფქვილი მოიტანეს. მაგრამ მაინც არ აცხობენ. თუ შეეკითხეთ: „ეხლა ხომ ფქვილი მოიტანეს რატომ არ აცხობთო“? ისინი გიპასუხებენ: „ერთ ფუთ ფქვილს ვყიდულობთ ორ მანეთად, რომ გამოვაცხოთ ისევ ორ მანეთად უნდა გავყიდოთ ფუთი, მოგება არაფერი დაგვრჩება და ამისთვის ვერ ვაცხობთო“. ნეტა ვიცოდეთ ერთი ფუთი ფქვილი გამოცხობაში იმატებს თუ, მეპურეების აზრით, იკლებს.

თელაველი

*** **ქ. ფოთი.** ახალგაზდობის უსაქმობა და ქალაქის ჩამორჩენა. დიდათ სამწუხარო და სავალალო სურათს წარმოადგენს განათლებულ ახალ-გაზდების მოქმედება ჩვენში. რასაკვირველია, მარტო ფოთში არ ხდება ასეთი არა სასიამოვნო ამბები ახალგაზდათა შორის. ერთს დროს, მაგალით.: ბათომის ახალგაზდობაც დღე და ღამეს ანდომებდა ხოლმე ბანქობანას და სხვა მის გვარ დროსტარებას; მაგრამ საქმე ის არის, რომ დღეს ბათომელების ძველი დროება ფოთელებისათვის ჯერ კიდევ არ დაძველებულა. ბათომში დღეს ახალგაზდობამ ასე თუ ისე გამოიჩინა მოქმედების ფხა და დიდის ხნის მეცადინეობის შემდეგ დააარსა სამკითხველო. ხოლო ფოთელებს კი, თუმცა მათთვისაც დიდად საჭიროა წიგნთსაცავ-სამკითხველო, რაც არა ერთხელ აღუნიშნავთ გაზეთებში, სამწუხაროდ, ფიქრადაც არ მოსდით ამ საჭიროების დაკმაყოფილება. ის კი არა-და, როცა ამას წინად „ცნობის ფურცლის“ ერთმა კორესპონდენტმა გულ-წრფელად ურჩია ფოთელებს სამკითხველო დაარსეთო, მადლობის და თანაგრძნობის მაგიერ აქაურ ყავახანებში კორესპონდენტის ლანძღვა-გინების მეტი არა ისმოდა-რა! ყოველივე ამის გამო ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია, რომ იმან, ვისიც ჯერ არს, აუკრძალოს ყმაწვილებს საზოგადო ადგილებში უდროვო დროზე უსარგებლო და პირიქით მავნებელი გართობა—თამაში, რომ მით ახალგაზდობას მიეცეს საშუალება დაადგეს კეთილ გზას და მიიღოს ცხოველი მონაწილეობა სამკითხველოს დაარსების საქმეში, რომელიც არ არის ძნელად სისრულეში მოსაყვანი, თუ რომ არ დაიშურებენ მცირეოდენ მეცადინეობას. სულით და გულით ვისურვებთ, დაადგეს ჩვენი საზოგადოება ასეთ გზას და ხელი აელოს ყავახანებში „აბა დუ-შაშოს, ჩხინკისა“ და სხ. ძახილზე, უწმაწური სიტყვებით ლანძღვა-გინებაზე, „ფანეტის“ თამაშში მოზარდ ქალიშვილების გარყვნაზე და სხ...

კონსტანტინე ნოდია

*** **ს. კულაში** (იმერეთი). ეტლების უვარგისობა. „ურიებიდან“ დ. სამტრედიამდე ექვსი ვერსია და ამ მანძილზედ გასავლელად ეტლით, ან „ლინეიკით“ გაერხდით მხოლოდ ორ შაურს. თუმცა გადასახადი ცოტაა, მაგრამ ნუ გეშინიათ, არც ძვირფასად მოწყობილ ეტლში და იორღა ცხენებ შებმულში ჩაჯდებით. თუ ეტლი აჩქარეს, უსათუოდ რამე გაუწყდება, ან გაუტყდება და თუ მიეცით ნება მეეტლეს თავის ნებაზე წასვლის, თქვენი მტერია, რაც უნდა ყმაწვილი იყოთ, ქალარა გამოგერევათ. სანამ ქრისტიანები იყვნენ მეეტლეთ, გარდასახადი მეტი იყო, მაგრამ სიამოვნებით მაინც ვლიდით და ახლა ურიებმა მართალია ფასი შეამცირეს, მაგრამ, სამაგიეროთ მათი ცხენები კი ღმერთმა დაიფაროს სამოგზავროდ. საკვირველია, ამ გვარი ცხენები მარტო დღეს და გუშინ არ დაჰყავთ და პოლიციამ ერთის მეტს არ აღუკრძალა ამ გვარათ პირუტყვების წვალება. ვნახოთ აწი მაინც რა იქნება!

აი

*** **დ. ხონი.** ამინდები და მოსავალი. თუ ღმერთმა ინება და ამისთანა კარგი ამინდები (ბრწყინვალე დღეები და ცოტა ქარი) იქმნა, მთელ სთვლობაზედ (სიმინდის მოწევა) ჩვენ ბედს ძაღლი არ დაჰყეფს, რადგანაც ჭირნახულის უხვი მოსავალი მშრალად შეინახება. ლობიოს ამბავს ნუღარ მკითხავთ: მოკრეფა და შენახვა ეზარებათ, იმდენია. ცხელ-ცხელი ამბები სხვაც ბევრია, მაგრამ ჯერ ეს იყოს.

*** **დ. ოჩამჩირე.** მადნების საქმე აფხაზეთში. 3—4 წლის წინად მადნების ხსენებაც არ იყო ჩვენსკენ, მაგრამ რაკი აფხაზეთის ძვირფასი ტყეები: ბზა, ნიგოზი, მუხა, წაბლი და სხ. მოინელეს, იმავე დროს სიმინდის ფასიც დაეცა. გამეფდა უფულობა და აი ამას მოჰყვა მადნების ძებნა მთებში. დიახ, ეხლა მადანი გახდა მომავალი ბედის წყაროთ და სუყველას მისკენ უჭირავს თვალი, სუყველა მას დაეძებს. თხოვნა თხოვნაზე იგზავნება სამთო სამმართველოში. რასაკვირველია, სუყველა მართალი არ გამოდგება, ბევრს კაჟებისა და უბრალო ქვების მადანი აქვს ნათხოვნი და იმედიც აქვს, რომ მას ეკუთვნის ნანახი განძი, რომელსაც არავინ შეეცილება; მაგრამ ამ არა მადნებთა შორის აღმოჩნდა ნამდვილი მადნებიც და ზოგან ისეთებიც, რომელთა საქმე უეჭველად კეთილად დაბოლოვდება.

სწორედ გაჭირვებამ დაგვანახვა, რომ ჩვენს დიდებულ მთებში ბლომად მოიპოვება ბედნიერების წყარო, მაგრამ საქმე ის არის, ვინ დაეპატრონება ამ ბედნიერების წყაროს, ვინ დაუდგება ამ წყაროს მოთავედ, ვინ გაბედნიერდება? ეს არ არის ერთის და ორი დღის საქმე, არ არის ათასის და ათი ათასი მანეთის საქმე. მაზე იქნება დამოკიდებული ასი და ათასი კაცის კი არა, მთელის მხრის მკვიდრთა დღეგრძელება და ასეთს განძს სიფრთხილით უნდოდა და უნდა მოქცევა.

კარგა ხანია მადნების წყალობით ოჩამჩირეს ხშირი სტუმარი გაუხდა ფულიანი კაცები და ინჟინრები. ამ დღეებში იტალიელი კაპიტალისტი გ—ნი, რომელსაცთან ინჟინრები ახლდა, ინახულა

ს. ტყვარჩელის მადანი (ქვა-ნახშირისა) და გამოიკვლია რკინის გზის გასაყვანი ადგილი, საზღვარ-გარეთ გაემგზავრა ამხანაგობის შესადგენად. მეორე—ს. გუფის მადანში, რომელიც თავ. ბ—იას და ბ—ას ეკუთვნის, თაობს ბუტმინ დე-კაცმანი და მისი საქმეც მალე დაბოლოვდება (მადანი რკინისაა): აგერ ორ თვეზე მეტია ოქუმში მუშაობა დაიწყეს (ვერცხლი და ტყვია). ოჩამჩირის ახლო თავ. ა. ე—მა საკუთარ მამულში საღებავი წამალი აღმოაჩინა და სხ. ერთის სიტყვით, ამ ჟამად მადნებსა შინა ვიმყოფებით! მაგრამ ერთი რამ გულს გვიკლავს და აი რა.

ყველა ამ მადნების მძებნელნი უბრალო სოფლის მკვიდრნი იყვნენ, მაგრამ დღეს ვინ იცის ვის უვარდება ხელში და ვინ კეთდება! მართალია, თითო-ოროლი ამ მადნების საქმეში ჩვენებურებიც ურევია, მაგრამ ისეთები, რომელთაც არავითარი გამოცდილება არ მიუღიათ ამგვარ საქმეებში და რასაკვირველია ასეთი პირები ადვილად შეიძლება შეცდენ და დაიყოლიოს გამოცდილმა და დახელოვნებულმა პირმა, მით უფრო, თუ ასეთს პირს ცოდნაც შესწევს და ფულიც. სწორედ ასეთი პირებისთვის (ჩვენებურებისთვის) საჭირო იყო გზის მაჩვენებელი და ნუ თუ ასეთი კაცები ჩვენში არ მოიძებნებოდა, რომელთაც იოტის ოდენად მაინც შესტკენოდათ გული თავისიანებისათვის. ვიცი. ჩვენ ინჟენრებიც გვყავს, გულ-შემატკივარი ნასწავლნიც, რისთვის მათ არ მიმართეს ამ დალოცვილებმა „ორ-ორა“ ჩვენებურებმა? ნუ თუ.. მაგრამ „ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“ და ამიტომ მხოლოდ ვიტყვი იმას, რომ ვისთვისაც დაგვიანებული არ არის, იმედია ამნაკლს აიცილებენ თავიდან.

ხორშელი

*** **დ. ახალ-სენაკი.** კენჭის ყრა ჯარში გასაწვევთა შორის. კენჭის ყრა ჯარში გასაწვევ ყმაწვილ კაცებისა უკვე დაიწყო ოქტომბრის 25-დან და გაგრძელდება ნოემბრის 9—10-მდე. 11 ნოემბერს ფიცს მიაღებინებენ და გაისტუმრებენ სამსახურში დანიშნულ ადგილებში. წელს მთელის სენაკის მაზრიდან ჯარში გასაწვევად ასარჩევია 314 კაცი. რაიცა შეეხება წრევანდელს ყმაწვილ კაცებს, წარსულ წლებთან შედარებით კარგები არიან.

— კარგი ამინდები. 8 ოქტომ. მშვენიერი ამინდები სდგას. ცა მოციმციმე ვარსკვლავებით მოჭედილია. მთვარეც უხვად ფენს თვის სინათლეს დედამიწას, რომელიც მანანასავით ევლინება მუშა-კაცს ჭირნახულის მოსაწევად. მიუხედავად ამისა, აქეთ გაცხარებული მუშაობაა გონებისა, მაგრამ, საუბედუროდ, წრევანდელს მოსავალს ვერაფერს ემადლიერებიან, რადგანაც პირველში ვერ მოუხერხებიათ დროზედ სიმინდის დათესვა.

ტელეფონი

*** **პატარა ლიახვის ხეობა.** მოსავალი. პატარა ლიახვის ხეობაზედ, ენკენისთვის, ბოლო რიცხვებში. მთები მთლად ჩამოთოვლა: თოვლი თითქმის ერთ მტკაველზედ მეტია. ორიკვირა ისე გამუდმებით სწვიმდა ცხინვალის საბოქაულოში, რომ მზის თვალი აღარ დაგვინანახავს. ხალხი შეწუხებულია ავდრებისაგან. სიმინდი გაურჩეველი დარჩათ. ჩალა წვიმებმა თითქმის მთლად წაუხდინა. პურის მოსავალი საბოქულაში შუათანი იყო შარშანდელთან შედარებით. მცირე რიგიანი პური კოდი ოთხმანეთზედ ნაკლებ აღარ იყიდება. (ფუთი მანეთი) ღვინის მოსავალს ალაგ-ალაგ არა უშავს რა. კოკას ექვს მანეთად ყიდულობენ ტკბილსა.

— ზომები ქურდობის წინააღმდეგ. რადგანაც ოსები ძრიელ ბევრს სხვილ ფეხ საქონელს და უფრო მეტს წვრილ ფეხს იპარავდნენ, ს. აწერის ხევში ქართველმა მცხოვრებლებმა ერთ თივის ყრილობაზედ დაადგინეს განაჩენი შემდეგის შინაარსისა: როდესაც მწყემსი შეატყობინებს, რომ ამადა ამის საქონელი დაიკარგა და მდევარში არ გავა, იმისთანა მცხოვრებს უნდა გადახდეს შკოლის სასარგებლოდ ორი მანეთი; თუ ვინც ქურდობაში საეჭვო ოსს შეიყვანს სახლში და გაუმასპინძლდება, იმან უნდა გადიხადოს სამი მანეთი სკოლისავე სასარგებლოდ‘ ვინიცობაა გაიგო ვინმემ მომპარავის ვინაობა და სოფელში არ გამოაცხადებს, იმან უნდა გადიხადოს ერთი თუმანი შკოლას სასარგებლოდ. ამ ნაირი განაჩენი მზათ არის და უნდათ. რომ უმაღლეს მთავრობას წარუდგინონ დასამტკიცებლად. თუ ყოჩაღათ მოიქცენ, იქნებ ქურდობა შემცირდეს.

მართალაძე

*** **ს. შხეფი** (სამეგრელო). სამრევლო სკოლის მდგომარეობა. ამ სოფელში 1893 წლიდან ადგილობრივმა დიაკონმა ხოფერიამ გახსნა სამრევლო სკოლა, რომელიც იქმნა მთავრობისაგან დამტკიცებული და რომელიც აქაურს მცხოვრებლებს ისე სულზე მიესწროთ, როგორც ავადმყოფს წამალი, მაგრამ არც ერთი ხელის შემწყობი და თანამგრძნობი ამ სკოლის მასწავლებელს არ აღმოუჩნდა. ეს სკოლა ისევ მასწავლებელს ხოფერიას აქვს თავის ნაქირავებ სახლებში საკუთარის ხარჯით.

თუმცა ამ ჟამად სკოლას ყურადღება მიაქცია ადგილობრივმა საეპარქიო სამოსწავლო საბჭომ, მაგრამ ეს ყურადღება მეტად მცირეა, ამიტომ ჩვენი ფიქრით, საჭიროა მასწავლებელს ხოფერიას სოფელმაც აღმოუჩინოს დახმარება, მით უმეტეს, რომ თუმცა ეს სოფელი არ არის ძალიან მდიდარი, მაგრამ არც ისე ღარიბია, რომ არ შეეძლოს ერთი სკოლის შენახვა.

ეს სოფელი მდებარეობს ორ დაბას: ძველსა და ახალ სენაკს შორის, სადაც სოფლელთ ეადვილებათ თავიანთი ნაწარმოების გასაღება. ეს დაბები ამ სოფელს შორავენ 5—6 ვერსის მანძილით. ს. შხეფი თავისი მდებარეობით, მცხოვრებლების რიცხვით, მიმოსვლით და ვაჭრობა-აღებ-მიმცემობით ერ-ერთი უპირველეს სოფელთაგანია მაზრაში, ასე რომ ამ სოფლისათვის არა თუ წერა-კითხვის სკოლა, ორ კლასიანი სასწავლებელიც ცოტაა. ამიტომ სწორედ დიდი უსამართლობაა, რომ ასეთ სოფელში ერთ გაჭირვებულ კაცს აწევს კისრად სკოლის ხარჯი.

დროა შეიგნონ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა თავიანთი მოვალეობა. განსაკუთრებით საჭიროა მუშა ხალხი მიაქცევდეს ჯეროვან ყურადღებას თავის შვილების აღმზრდელ სკოლას.

შხეფელი

*** **დიდი ზანა** მადლობის გამოცხადება. ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზით „ცნობის ფურცელის“ საშუალებით გრლ-წრფელი მადლობა შევსწირო, როგორც ჩემის მხრით, აგრეთვე ჩემი მოწაფეების და მათი მშობლების მხრით ხელოსან-მასწავლებელს ზუგდიდის ზოგიერთ სკოლების ბ-ნ. ვ. ბ. გეთიას, რომელმაც შემოსწირა რწმუნებულ ჩემდამო დიდი-ზანის წერა-კითხვის სკოლის ერთი სართავი მაშინა, იარაღი, და აგრეთვე დამპირდა სწავლებას ჩემი მოწაფეების და საზოგადოების გადასაცემად და გასავრცელებლად. ეს პირველი შემწეობა—შემოწირულებაა ჩემი სკოლისადმი. ღმერთს ვსთხოვ, რომ სხვანი, კიდევ გამოსჩენოდნენ შემწენი ჩემს სკოლას. დღიდან დაარსებისა ჩემი სკოლისა, ე. ი. 3-მ თებერვლიდან ამა წლისა, რამდენი ვითხოვე, რამდენი ვეწვალე, ზოგი გაზეთის შემწეობით, ზოგი კერძო წერილებით და თხოვნებით, მაგრამ ამაო შეიქმნა. ბ. გეთიამ კი რა გაიგო, რომ მე სკოლა მქონდა ისის არის შემოსწირა ზემოხსენებული იარაღი. განმეორებით მადლობას უძღვნი და ვითხოვთ შემწეობა სხვებისაგანაც წიგნებით, თუ სხვა რამ სასწავლო ნივთებით. მე ვფიქრობ რომ არ იციან, თუ რა სატირალ მდგომარეობიშია ჩვენი სკოლა სასწავლო ნივთების უქონლობით, ნუ თუ ქველ-მოქმედი პირები ასე უყურადღებოდ დასტოვებენ. ადრესი: Въ м. Ново-сенаки учителю Диди-замской школы грамот. Николаю Беридзе.

დიდი-ზანის-წერა-კითხვის სკოლის მასწავლებელი ნიკო ბერიძე.

## რედაქციისაგან

**ჭაგანში** დალ. ქ—ის წერილი მომრიგებელ-მოსამართლის უსამართლობაზე ვერ იბეჭდება.

**შუბნისში** იორდ. გიჯდელაძეს. თქვენი წერილი, რომელშიაც მადლობას უცხადებთ მასწავლებელს, დასაბეჭდად მოუხერხებელია. მადლობის გამოცხადებას ამისთანა შემთხვევაში მაშინ აქვს მნიშვნელობა, როცა იგი საერთოდ არის გამოცხადებული და არა კერძო პირისაგან.

**ძ. ბათომში** აფრიკელ მონგოლს. თქვენი წერილი ვერ დაიბეჭდება, საგანი საზოგადოდ არა ღირს.

**დ ბორჯომში** მარტვილელს. თქვენი წერილი ვერ დაიბეჭდება, რადგან დაგვიანებულია, ეგ ამბავი კაი ხანია გვქონდა დაბეჭდილი.

**დ. ჩოხატაურში** მკითხველს. თქვენს «მცირე შენიშვნას» «ცნ. ფ»-თან ნაკლები დამოკიდებულება აქვს და ამიტომ ვერ დავბეჭდავთ, მიმართეთ თვითონ «კვალს».

**დ. ყვირილაში** მალს. თქვენს წერილში ლანძღვის მეტი ვერაფერი ვნახეთ და ამის გამო ვერ ვბეჭდავთ.

## სამეცნიერო ცნობა

ქუჩის ბიჭ-ბუჭების სკოლა საფრანგეთში. საფრანგეთის მთავრობამ დიდი ყურადღება მიაქცია ქუჩაში მოხეტიალე უპატრონო ბავშვებს, რომლებსაც დანიშნული ბინა არ აქვთ და საზოგადოებისათვის მავნებელი წევრები ხდებიან. ზოგი მათგანი ლოთი გამოდის, ზოგი ქურდი და არღვევენ მშვიდობიან ცხოვრების მიმდინარეობას. დღეს პარიზში დაარსეს მრავალი სკოლა, რომლებშიაც განსაკუთრებით ქუჩაში მოხეტიალე ბიჭ-ბუჭები იზრდებიან. ამ სკოლებში ყველაზე საუკეთესო და სამაგალითო სკოლათ დალამბერგის სკოლა ითვლება—მონტევრენში. დალამბერგის სკოლა პარიზიდან რამოდენიმე ვერსის სიშორეზეა. ეს სკოლა დაარსებულია მეტად მშვენიერს ადგილას, ერთის მხრით ტყე ჰფარგლავს და მეორეს მხრივ მდ. მარნის სანაპიროები. შენობა, რომელშიაც მოთავსებულია სკოლა, მეტად უზარ-მაზარია. ბავშვების დასაძინებელი ოთახები მესამე სართულშია მოთავსებული. ეზო ფართოა და შიგ გამართულია საგიმნასტიკო იარაღები, იქვე ეზოს გვერდით გაშენებულია სა-

სეირნო ბაღი. ცოტა მოშორებით კარგა ფართო მოედანია, სადაც ყმაწვილებს სამხედრო ვარჯიშობას ასწავლიან. სასწავლებელში ასწავლიან შემდეგ საგნებს: ასოთ-აწყობას, ხუროობას, ხარატობას და სხვა ხელობას. საბეჭდი მანქანები ძირს სართულშია მოთავსებული, ხოლო ზემო სართულში ასოთ-ამწყობნი არიან. დღის დიდძალი ყმაწვილები სწავლობენ ასოთამწყობობას და დიდის სიხარულითაც ასრულებენ თავიანთ საქმეს. ზედამხედველათ დახელოვნებული ოსტატები ჰყავთ, რომლებიც დიდის ენერგიით ასწავლიან. დიდძალი კერძო სასტამბო სამუშაოები მიაქვთ სასწავლებლის სტამბაში. სახარატო განყოფილებაში იმდენი მოსწავლე არ არის, რამდენიც სტამბის განყოფილებაშია, მაგრამ საქმე კი მეტათ სუფთად და მკვირცხლად კეთდება. ისე, რომ ზედ-მიწევნით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ არც ერთ პარიზის სახარატოს არ შეუძლიან მას შეედაროს. სადურგლო და სახუროო განყოფილებაში შემდეგ მასალას ამზადებენ: კარების და ფანჯრების ჩარჩოებს, მაგიდებს, სკამებს, პირის საბანებს და სხ. ყველა ეს მასალები კეთდება და პარიზის საავადმყოფოებს სახმარებლად იგზავნება. ამ ხის მასალის ნამუშევარსაც თვალ-საჩინო ადგილი უჭირავს პარიზში.

სკოლის შენობის ერთს კუთხეში ორი დიდი საკლასო ოთახია — ერთში ასწავლიან საზოგადო განათლების საგნებს და მეორეში ხატვას დ ხაზვას. — კლასის კედლები მოფენილია რუკებით და გეგმებით. იქვე გვერდზე არის კაბინეტი, რომელშიაც დიდ-ძალი მეცნიერი სურათებია სწავლის დროს ყმაწვილებისთვის საჩვენებლად.

დალამბერგის სკოლაში სწავლა სხვანაირად არის დაყენებული. 5 საათზედ დგებიან და საწოლ ოთახებს ალაგებენ. 5 ს. 45 წუთზედ სწავლა ეწყობათ. 7 ს. საუზმობენ, 7 ს. 30 წ. ასწავლიან ხელობას; 11 საათზედ გიმნასტიკაში ავარჯიშებენ, 12 ს. მეორედ საუზმობენ. 2 საათზე მუშაობენ, 6 ს. 30 წ. სადილობენ. 7 ს. სწავლობენ. 8 ს. 30 წ. დასაძინებლად მიდიან. კვირაში ოთხჯერ (8 ს. 30 წ. დილით, 9 ს. 30 წ. საღამოთი). მოწაფეთ მუსიკას და ხატვას ასწავლიან. ამ საგნებს სულ გამოცდილი სპეციალისტები ასწავლიან.

განსაკუთრებითი ყურადღება მიქცეული აქვთ გიმნასტიკასა და სამხედრო ვარჯიშობაზე, სწავლადამთავრებული მოწაფე სრულიად მომზადებულია სამხედრო სამსახურისთვის. მატერიალურის მხრითაც დიდი სარგებლობა მოუტანა საფრანგეთს ამ სკოლებმა. მაგალითად: მარტო დალამბერგის სკოლის ასოთ-ამწყობთა განყოფილებამ 1890 წ. 30,000 ფრანკი შემოსავალი მისცა, ხოლო სადურგლო და სახუროო განყოფილებებმა სამჯერ ამაზე მეტი. ამ რიგად მოწაფეების შრომა სასწავლებლის ხარჯებსაც ისტუმრებს და კიდევ მრავალი ფული რჩება მთავრობას, გარდა ყველა იმ ჯამაგირებისა, რომელსაც იქვე კურს დასრულებული მოწაფეები იღებენ.

ივ. კავთელი

## ყურმოკრული საუბარი

სამეგრელოში ერთმა აზნაურმა ადვოკატმა გლეხს სოფლის სასამართლოში ძნელი საქმე მოუგო. გლეხმა ნიშნათ მადლობისა, შემდეგი ქება უთხრა ადვოკატს:

— აშენა ღმერთმა შენი ოჯახი, რომ ესეთი კარგი „კლაუზნიკი“ ყოფილხარო. თუ არ კლაუზნიკი, ისე ჩემ საქმეს ვერავინ მოიგებდაო.

ერთი ლოთი კაცი თხოულობდა აქციზის გამგეობაში მოხელეობას. უფროსმა ჰკითხა:

— შეგიძლიან სპირტომეტრით შეატყო არაყს სიმაგრე!

— მე გემოთიც კარგათ ვატყობ არაყის სიმაგრესა! — უპასუხა ლოთმა.

დედამ უთხრა თავის პატარა ქალს:

— შვილო, წუწულები არსად წაიღონ, მე ეხლავე მოვალ!

ბავშვმა რომ წუწულებს ერთად თავი ვეღარ მოუყარა, ყველას ნისკარტებში მავთული გაუყარა და ერთმანეთზე გადააბა.

— დედა! არა დგებოდნენ და ერთმანეთზე გადავაბიო.

## სხვა-და-სხვა ამბავი

იადონთა ფილოსოფოსნი. კურსკის გუბერნიაში არის რამდენიმე პირი, რომლებიც მშვენივრად ჰგეშავენ მგალობელ ფრინველებს. უმეტეს ნაწილად იადონს, ბულბულს და შაშვებს. ყველა იმ პირთ, რომლებიც ამ ფრინველებს ჰგეშავენ, უწოდებენ „იადონთა ფილოსოფოსთ“. ზოგიერთნი მეტად მალე ათვისებინებენ მელოდიური ხმების გალობას. ხუთი-ექვსი თვის შემდეგ ბულბული და იადონი იმისთანად იგეშებიან და გალობენ ზოგიერთ სასიამოვნო ხმებს, რომ გეგონებათ წინ ნოტები უწყვიათ და ისე მღერიანო. უფრო ნიჭიერები და ადვილად გასაწვრთნელები კურსკისა და ავსტრიის ბულბულები დგებიან. იქაური დაუგეშავი ბულბულები 15—25 მან. ფასობენ, ხოლო გაგეშილები და ნასწავლები 70, 80 და 100 მან. ისყიდებიან. ამას წინად ერთი გამოჩენილი მემუსიკე დასწრებოდა იმ დროს, როდესაც იადონი ჰგალობდა ბოკაჩიოს და ბულანჟეს „მარშებს“ ისეთის სინამდვილით, რომ მემუსიკე აღტაცებაში მოსულიყო.

## წვრილი ამბავი

ჩინეთის ქალების ფეხები. ჩინეთის ქალებს ერთი უცნაური ჩვეულობა ჰქონიათ. მათში თურმე დიდი სირცხვილია, თუ ქალს დიდი ფეხები აქვს. ასეთი ქალი ხალხის თვალში მახინჯათ ითვლება. ამის გამო ჩინელი ქალები ყოველ ღონისძიებას ხმარობენ ფეხი დაიპატარაონ. ფეხებზე იკეთებენ იმისთანა მუხრუჭებს, რომელიც ფეხს საშინლად სწურავს. ზოგჯერ ქალები იქამდე მიჰყავს ამ სულელურ ჩვეულებას, რომ მათ ფეხები უსივდებათ და შემდეგ ქქიმები სჭრიან კიდეც. იქაური მამა-კაცების შეხედულობით ფეხის სილამაზე უფრო მაღლა სდგას, ვიდრე პირი-სახისა. იქაური ქალები ქუსლგანიერ წაღებს ხმარობენ. ეშინიანთ არ წაიჩეხნონ სიარულის დროს, რადგანაც საშინლად უჭერს ფეხსაცმელი და ფეხს გაბედვით ვერ ადგამენ. ჩინელი ქალი გავლილი რომ დაინახოთ, გეგონებათ ორივე ფეხი დამტვრეული აქვსო. იქაური ქალი, ხანში შედის თუ არა უჯოხოთ ვერ გაივლის, რადგანაც ფეხები სრულიად უძაბუნდებათ.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

25 ოქტომბერი

**იაფა.** პათი უდიდებულესობანი იერუსალიმიდან მოვიდნენ-რააქ რკინის გზით, „გოგენცოლლერზე“ გადასხდნენ და ბეირუთში წავიდნენ.

**პარიზი.** მთავრობამ გარდასწყვიტა მარშანის მისსია აღარ დასტოვოს ფაშოდაში. გარდაწყვეტილება შეიწყნარა მინისტრთა საბჭომ საქმის ხანგრძლივის განხილვის შემდეგ. მარშანი დაუყოვნებლივ ფაშოდაში დაბრუნდება, რათა მისსია ჯიბუტში წაიყვანოს.

**ბეირუთი.** იმპერატორი მეუღლითურთ აქ მოვიდა. ნაპირზე არ გადავლენ. ორშაბათს დილით დამასკში წავლენ.

**ლონდონი.** მენშენ-გაუზში გამართულ ნადიმის დროს სოლსბერიმ წარმოსთქვა სიტყვა და განაცხადა: მივიღე ცნობა, რომ საფრანგეთის მთავრობამ გადასწყვიტა ხელი აიღოს ფაშოდაზე, რომელსაც არავითარ ფასს არ აძლევს. ჯერ არ გარდაუწყვეტიათ ყველა ის საგნები, რომელთაც უთანხმოება გამოიწვიეს, მაგრამ უმთავრესი, გამწვავებული საგანი თავიდან აცილებულ იქმნაო.


# სხივი წარსულისა

ისტორიული ამბავი, დაწერილი ყმაწვილებისა და ხალხისათვის იაკობ გოგებაშვილის მიერ, გამოვიდა და ისყიდება შაურად. წმინდა შემოსავალი ამ წიგნისა მიემატება იმ ფულს, რომელიც იკრიბება მცხეთის ტაძრის განსაახლებლად. ისყიდება: ტფილისში — წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, ქუთაისში — ბეჟანეიშვილთან, წერეთელთან და ხეთერელთან, ახალ-სენაკში, ოზურგეთში და ბათომში — თავართქილაძესთან. (6 3)

# КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) Бухгалтеріи двойной итальянской по разнымъ отраслямъ тортовой промышленности,
2) Коммерческой ариѳметики (банковыя и торговыя операціи),
3) Ариѳметики на счетахъ.
4) Коммерческой экономіи,
5) Торговыхъ и вексельныхъ узаконеній.

преподаетъ И. Я. БРОНЪ ФОНЪ-БРЕННЕРЪ, гл. бухгалтеръ общ. взаимн. сел.-хоз. кредита и препод. школы садоводства.

## Плата за весь курсъ 60 руб.

Курсъ 3-мѣсячный, при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій — 1-е число каждаго мѣсяца.

Аттестаты за успѣшныя занятія отъ реальнаго училища и школы садоводства.

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ, 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., № 71, и Барятинская, сельско-хоз. банкъ.

(100—56)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 27 Октября 1898г. სტ. „ცნ. ფურც.“ ([illegible]), რედაქტორ-გამომცემელი [illegible]